

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N5

24.03.2026

სხდომის ჩატარების

ადგილი:

ქალაქ ქუთაისი

ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა.

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, მაგდა კოსტავა, თამთა ბაკურაძე, ლანა ჩიტიძე, სალომე სარალიძე.

მოწვეული სტუმარი:

ააიპ მაღლიერების სახლის ხელმძღვანელი ნინო სპატარიდი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ანა ერემეიშვილი და ლიკა ჩახუნაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა ჩიხლაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლის ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენა.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს უყარა კენჭი და დაადგინა: დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მანანა ჩიხლაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლის ხელმძღვანელი ნინო სპატარიდი.

ნინო სპატარიდი: მოგესალმებით, მოგხსენებთ, ა(ა)იპ ქუთაისის მაღლიერების სახლი ფუნქციონირებს 2012 წლის 1 თებერვლიდან. მისი მთავარი დანიშნულებაა ქალაქში მცხოვრები ზედმიწევნით შეჭირვებული მოქალაქეების სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 991 500 ლარს.

მაღლიერების სახლი ანხორციელებს უფასო კვების პროგრამას 600 ბენეფიციარზე, ამათგან დუმბაძის ქუჩაზე მდებარე სასადილოში 365, ხოლო ავტომშენებლის ქუჩაზე--235 ბენეფიციარი.

მაღლიერების სახლში მოქმედებს ბინაზე მიტანის სერვისი გადაადგილებაზე ზღუდული ბენეფიციარებისათვის, დღეის მდგომარეობით 27ოჯახს, 30 ბენეფიციარს მიეწოდება საკვები ბინაზე.

ბენეფიციარად რეგისტრაციისათვის, ქ.ქუთაისის მერის ბრძანების მუხლი 3-ის საფუძველზე, მოქმედებს შერჩევის წესი:

1. უფასო კვების ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქ. ქუთაისში მცხოვრები და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეები, რომლებიც ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, სოც. დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ქულა არ აღემატება 65 000-ს.

და აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს:

ა) ოჯახის პენსიონერი და არასრულწლოვანი წევრები.

ბ) მარტოხელა პენსიონერი

გ) მრავალშვილიანი ოჯახი

დ) ობოლი (დედით და მამით ობოლი) არასრულწლოვანი

ე) საქ. ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპული პირის მეუღლე და ასევე პენსიონერი და ოჯახის არასრულწლოვანი წევრები.

ვ) „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქ. კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები.

ზ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი

თ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ამავე ბრძანებით, შეიქმნა ბენეფიციართა შესარჩევი კომისია, რომელიც განიხილავს ყველა იმ პირის განცხადებას, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 პირველი პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს.

2025 წლის განმავლობაში შემოვიდა 116 განცხადება, აქედან უარი ეთქვა 22 ოჯახს, უფასო კვების პროგრამაში აყვანილია 94 ოჯახი.

უფასო კვების პროგრამის ძირითადი მიზანია : უზრუნველყოს ქალაქის განსაკუთრებით შეჭირვებული მოქალაქეებისთვის ყოველდღიურ ცხელ საკვებზე ხელმისაწვდომობა, შეამციროს საკვებით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკები.

კვების რაციონი, კალორაჟისა და მენიუს გათვალისწინებით, შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს.

დღიური კალორაჟი მერყეობს 1200-1600 კკალორიას შორის.

მენიუ მიახლოებულია დიეტურთან (დაბალი ცხიმოვანობით, ნაკლები მარილით, პიმპილის გარეშე), თუმცა კალორაჟის რაოდენობა რათქმაუნდა უცვლელია.

მენიუ ითვალისწინებს სეზონურ პროდუქტებს – ზაფხულში უპირატესობა ენიჭება მსუბუქ, ბოსტნეულზე დაფუძნებულ კერძებს, ხოლო ზამთარში – ენერგოეფექტურ და გამათბობელ საკვებს (ბურღულეული, სუპები, ხორცი).

მენიუ შეესაბამება ჯანმრთელობის და საქართველოს საკვებით უსაფრთხოების სტანდარტებს.

მადლიერების სახლის 2025 წლის საშტატო ერთეული განისაზღვრება 29 კაცით, შტატგარეშე 4 კაცით.

მადლიერების სახლში ყოველწლიურად ახალი წლის და რელიგიურ დღესასწაულებზე ტარდება ღონისძიებები, და სადაც ოჯახებს გადაეცემათ ნობათები.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და ერთხმად მოიწონეს საკითხი წარმოდგენილი რედაქციით.

მანანა ჩიხლაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს წარმოადგენს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი.

ვარლამ გობეჯიშვილი: მოგესალმებით, მინდა წარმოგიდგინოთ რამდენიმე პროგრამში შესატანი ცვლილება.

ბ.მ) ქვეპროგრამა: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 12) ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების, კერძოდ ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზი საერთაშორისო კლასიფიკაციის („ICD-10“) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობებია („F84.0“; „F84.9“), სააბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა; ბ) ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი და სხვა) მიერ ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიული სესიების მიწოდებას, თვეში არაუმეტეს 20 სესიისა. მათ შორის: ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური/სენსორული თერაპია და სხვა. თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს უკუკავშირს ბენეფიციარის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან; გ) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) ბენეფიციართა შეფასებისა და ინდივიდუალური გეგმის წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში, ხოლო ინდივიდუალური გეგმის ცვლილების შემთხვევაში,

კორექტირებული გეგმის წარდგენა არაუგვიანეს შეცვლილი ინდივიდუალური გეგმის თვის წინა თვისა; ე) 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტების გამოყენებით (მ.შ. „ABLLS-R,“ „VB-MAPP,“ „ESDM“ და სხვა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ქცევის ანალიტიკოსთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმის მიხედვით ანგარიშის წარდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ, ერთი თვის განმავლობაში. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS-2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვებითი კვლევის შედეგის საფუძველზე. დაუშვებელია აღნიშნული კვლევა ჩატარებულ იქნეს იმ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში, სადაც უნდა მოხდეს ბენეფიციარის ჩარიცხვა. მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სახელობით სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვეპროგრამის კრიტერიუმებს. აღნიშნულ სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის) მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან პასპორტი (ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – საინფორმაციო ბარათი); მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS-2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვებითი კვლევის შედეგი. ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. მომართვას თან უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა, დიაგნოზის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი და ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საინფორმაციო ბარათი). ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩარიცხვა

იწარმოებს ორ ეტაპად: საბიუჯეტო წლის დასაწყისში (იანვრის თვე) და 1-ლი ივლისიდან (ივლისის თვე). ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000-ს; ასევე, იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას განცხადებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სახის მომსახურებები:

1) სტანდარტული, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, ქცევის გამოყენებითი ანალიზის თერაპიის სესიების რაოდენობა 3 ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით შეადგენს: ა) 2 – 7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისთვის – არანაკლებ 14 სესიას; ბ) 8 – 11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სესიას; გ) 12 – 17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. თვეში 20-ზე ნაკლები სესიის განსაზღვრის შემთხვევაში, იგივე თერაპიის სესიათა რაოდენობა პირველი ასაკობრივი ჯგუფისთვის შეადგენს სესიების საერთო ოდენობის არანაკლებ 70%-ს; მე-2 სესიების საერთო ოდენობის არანაკლებ 60%-ს; მე-3 ასაკობრივი ჯგუფისთვის კი მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. სესიების რაოდენობა და ბავშვის თერაპიის სახე ყოველთვის უნდა თანხმდებოდეს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა ინახებოდეს მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში. ინტერვენციები მოიაზრებს ბენეფიციარისთვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით. ჩარევის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინტერვენციის სიხშირეზე, რასაც განსაზღვრავს ინდივიდუალური საჭიროება; ინტერვენციის ხანგრძლივობა, მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე, დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც თანხმდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. ინტერვენციით მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე შესაძლოა ინტერვენციის სიხშირის, ხანგრძლივობის შემცირება/გაზრდა, ინტერვენციის ტიპის შეცვლა ან შეწყვეტა, რაც ხდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით.

2) არასტანდარტული მომსახურება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის არჩევით, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ა) ქვეპროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა/კორექტირება ბ) ქვეპროგრამის მოსარგებლისთვის სეანსების მიწოდება

ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შესაბამისად, როდესაც მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე (არასტანდარტული მომსახურება) მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, ბავშვის საჭიროების შესაბამისად, რომელიც მოიცავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეთანხმების შემთხვევაში, საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის, ანალიტიკოსის ასისტენტის ან ქცევითი თერაპევტის მიერ სხვადასხვა თერაპიების ჩატარებას, მათ შორის განსხვავებულ გარემოში, მაგ. სკოლა, საბავშვო ბაღი, სკვერი, სახლი, ასევე ქცევის ანალიტიკოსის ინდივიდუალურ მუშაობას, არტ-თერაპიას, კვებით თერაპიას, მუს-თერაპიას, ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციით ინდივიდუალურ მუშაობას ბავშვთან.

ინტერვენციები მოიაზრებს ბენეფიციარისთვის სპეციალისტის მიერ პირისპირ ან ჯგუფურად განხორციელებული ინტერვენციის ოდენობას, სუპერვიზიის შეხვედრებისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ტრენინგის/ფსიქოგანათლების ჩათვლით, რომელიც განსაზღვრულია მომსახურების გეგმაში. ჩარევის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინტერვენციის სიხშირეზე, რასაც განსაზღვრავს ინდივიდუალური საჭიროება. ინტერვენციის ხანგრძლივობა, სიხშირე, რაობა, მისი გაზრდა/შემცირება/შეწყვეტა დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე, დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხსა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებაზე, რაც თანხმდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. ინტერვენციით მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე შესაძლოა ინტერვენციის სიხშირის, ხანგრძლივობის შემცირება/გაზრდა, ინტერვენციის ტიპის, ადგილის შეცვლა ან შეწყვეტა, რაც ხდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით ან მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს თავად აირჩიოს სტანდარტული მომსახურება.

ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი: ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომში ქვეპროგრამის განმახორციელებელი). ქვეპროგრამის მოსარგებლებებისთვის მომსახურების მიმწოდებელია დაწესებულება (შემდგომში მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №01-1296-ით დამტკიცებული, აუტიზმის მქონე პირთა მომსახურების მინიმალური სტანდარტებითა და ამ ქვეპროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წერილობითი განაცხადით ეთანხმება ქვეპროგრამისა და ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს და დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს, რაზეც გაფორმდება ხელშეკრულება. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2

თვით ადრე. დაფინანსების წესი: ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება განსაზღვრულია თვეში 450 ლარით, თითოეულ სესიაზე 22,5 ლარი. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ანაზღაურებას ექვემდებარება ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურება 11,5 თვის ანგარიშით, შესაბამისად არ ანაზღაურდება წლის დასაწყისში იანვრის თვის ნახევარი, სადღესასწაულო და უქმე დღეების გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სესიის ჩაუტარებლობის შემთხვევაში, ანაზღაურდება პრაქტიკულად ჩატარებული სესიები, მხოლოდ ერთი თვე. შემდეგ თვეში ანალოგიური შემთხვევის დადგომისას (არასაკატიო მიზეზით სესიების გაცდენა), ბენეფიციარი მომსახურების მიმწოდებლისგან იღებს წერილობით გაფრთხილებას მომსახურების შეწყვეტაზე და განმეორებითი შემთხვევის გამოვლენისას შეუწყდება პროგრამით მომსახურება. ბენეფიციარს მომსახურება არ შეუწყდება თუ გაცდენა გამოწვეულია: მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობით; აქტიური სოციალური სტატუსის ხელშეწყობის მიზეზით (კურორტული დასვენება, კულტურული, შემეცნებითი და სპორტული გასვლები); მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების ფუნქციონირების დროებით შეჩერების გამო, რაზედაც მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ქვეპროგრამის განმახორციელებელს. აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევების შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშგებისას წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის ინდივიდუალური ან ჯგუფური 1 სესია ან ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული 1 სესია. ქვეპროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სესიების მიწოდება ხორციელდება მოსარგებლის/ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის გარეშე, ხოლო დამატებითი სესიების ღირებულება შესაძლებელია ანაზღაურდეს მოსარგებლის (ბენეფიციარის) მხრიდან. ვაუჩერით ანაზღაურდება მომსახურება, მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის თვიდან მოსარგებლის 18 წლის ასაკის შესრულებამდე. ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე, 18 წლის ასაკის შესრულების თვის მანძილზე მოსარგებლისათვის მიწოდებული მომსახურება. ქვეპროგრამაში ჩართვა: ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) უნდა მიმართოს მიმწოდებელს განცხადებით. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მიმწოდებელი, გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, წერილით მიმართავს განმახორციელებელს პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით. ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას, ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა

ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იპულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; ბ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის წყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარის შემდგომი რეგისტრაცია უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში); დ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის ქვეპროგრამის მიმწოდებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი სულ მცირე, „ADOS“ შედეგი. მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია არჩევანის უფლება მიმწოდებელი დაწესებულების, ასევე, სესიის ტიპის (პირისპირ/ინდივიდუალური ან ჯგუფური) ან ტელეინტერვენციის მოდელით განხორციელებული სესია) არჩევისას. მოსარგებლეს აქვს უფლება, შეიცვალოს დაწესებულება. ამისათვის, ის განცხადებით მიმართავს იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება დაწესებულების შეცვლის მსურველ იმ მოსარგებლეს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას განცხადებით. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამით მოსარგებლები გამოთქვამენ სურვილს დაწესებულებებში ერთმანეთისათვის ადგილის გაცვლასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მათ ავტომატურად გაცვალონ ადგილები. მოსარგებლის ქვეპროგრამიდან გასვლის შემთხვევაში, მისი ქვეპროგრამაში განმეორებით ჩართვა ხორციელდება ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. ქვეპროგრამის მონიტორინგის მექანიზმი: ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია პერიოდულად, წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, კერძოდ: სესიებზე დამსწრე ბენეფიციართა რაოდენობა, ერთდროულად მიმდინარე სესიების საათობრივი ოდენობა, პერსონალის მიმართ აუტიზმის მქონე პირთა მომსახურების მინიმალური სტანდარტებითა და ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისობა და სხვ., მიმდინარე სასესიო პროცესის შეუფერხებლობის დაცვით. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ. ანგარიშგება: მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი

დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა), მოსარგებლის მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ხელმოწერებით დადასტურებული შემთხვევათა რეესტრი მიღებული სესიების რაოდენობის თაობაზე და ბენეფიციართა დასწრების გეგმა-გრაფიკი. განმახორციელებელი ამოწმებს შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციას, რომლის დროსაც ხდება: ა) მოსარგებლის იდენტიფიცირება; ბ) ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში (ანგარიშ-ფაქტურა) მითითებული თანხის შედარება შემთხვევათა რეესტრში ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან; წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტაციაში შეუსაბამობის აღმოჩენისას, განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს დოკუმენტები მიმწოდებელს და მისცეს 3 სამუშაო დღე აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხელახლა წარმოსადგენად. სრულყოფილად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ანგარიშზე ფორმდება მიღება ჩაბარების აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ა) მიმწოდებლის სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი; ბ) ქვეპროგრამის დასახელება; გ) საანგარიშგებო თვე; დ) საანგარიშგებო დოკუმენტების ჩამონათვალი შესაბამისი რაოდენობების, ნომრებისა და თარიღების მითითებით; ე) წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება, მომსახურების საერთო ღირებულების (ლარებში) მითითებით; ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ, მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან, 1 წლის განმავლობაში. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია დასაქმებული ჰყავდეს თანამშრომლები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით. დაუშვებელია დოკუმენტურად წარმოდგენილი სპეციალისტებისაგან გასხვავებული სპეციალისტების ჩართვა მომსახურების გაწევისას. მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: ა) ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება; ბ) ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე სულ მცირე 20 ბავშვისათვის მიწოდებული მომსახურება უწყვეტად, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: „ABLLS, VB-MAPP“, ყოველთვიურად წარმოებული შესაბამისი ჩანაწერებით, გრაფიკებითა და მიზნებით); გ) ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის – ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი და სხვა – ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; დ) ჰყავდეს ზოგადი განათლების მქონე ან პროფესიული კოლეჯის

კურსდამთავრებული ან უმაღლესი განათლების საფეხურზე მყოფი სტუდენტი, ყოველ 10 მოსარგებლეზე არანაკლებ 1 ქვევითი თერაპევტი, რომელიც არის ბავშვის ემოციურ – ქვევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე და გავლილი აქვს ქვევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით დადასტურებული სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქვევითი თერაპიის დამოუკიდებლად სუპერვიზიის ქვეშ ჩატარების სულ მცირე, 2 თვიანი სამუშაო გამოცდილება; ე) აუცილებელია, ყოველ 5 ქვევით თერაპევტზე ჰყავდეს სულ მცირე ერთი სერტიფიცირებული ქვევის ანალიტიკოსი (სუპერვიზორი), რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების პედაგოგი, სოციალური მუშაკი, ექიმი) და/ან არის ქვევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქვევის ანალიტიკოსი და მიღებული აქვს ქვევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტებული BCBA/IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატი ან გავლილი აქვს საქართველოს ქვევით ანალიტიკოსთა ასოციაციის მიერ აკრედიტებული ადგილობრივი კურსები ქვევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ მიერ დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისი თემების ჩამონათვალის მიმდინარე გამოცემის მიხედვით (სულ მცირე 270 საკონტაქტო საათი). რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, ასევე აქვს 1500 საათიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება სუპერვიზიის ქვეშ, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ამასთან, თუ სუპერვიზორი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობას უნდა უწევდეს 5 ქვევით თერაპევტს და შესაბამისად, არაუმეტეს 50 ბენეფიციარს უნდა მართავდეს, რომელსაც შეუძლია ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება – გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით („ABLLS“, „VB-MAPP“, „ESDM“ „Curriculum Checklist“ და სხვა), ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა, აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის სულ მცირე, 2 წლიანი გამოცდილება, სრულად აქვს გავლილი ქვევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო კურსი, ან მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით; ვ) ჰყავდეს დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტი ან სპეციალისტი მომიჯნავე სფეროში (ფიზიოთერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი), რომელსაც გავლილი აქვს საერთაშორისო ან/და საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ტრენინგ-კურსი ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და აქვს ოკუპაციური/სენსორული თერაპიის გამოცდილება; ზ) ჰყავდეს შემთხვევის მენეჯერი, რომელიც კოორდინირებას უწევს ქვევის გამოყენებითი ანალიზის თერაპიისგან განსხვავებულ სერვისებსა და მხარდაჭერას, რაც გაწერილია ინდივიდუალურ გეგმაში; თ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს

შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისათვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად, მათ შორის, ოკუპაციური/სენსორული თერაპიის განსახორციელებლად); ი) ჯგუფური სესიის შემთხვევაში, ჯგუფში მოსარგებლების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4-5, ხოლო ყოველი 3 მოსარგებლისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი არაუმეტეს, 4 ჯგუფური თერაპიისა თვეში, თუ სხვა რამ არ განისაზღვრება ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის საფუძველზე (მშობელთან შეთანხმებით. მიმწოდებელი ვალდებულია: ა) ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ბ) ქვეპროგრამის განმახორციელებელს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდის გათვალისწინებული შემადგენლობის ცვლილების თაობაზე; გ) ქვეპროგრამის მოსარგებლებისთვის ქვევითი ანალიტიკოსის ცვლილების შემთხვევაში მოახდინოს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისი ყველა ინფორმაციის (მათ შორის ჩანაწერების) გადაბარების უზრუნველყოფა; დ) ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა განახორციელოს მატერიალიზებული ვაუჩერის დაფინანსების ფარგლებში, ქვეპროგრამის მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებლისთვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან/და მიმწოდებლის მხრიდან მოსარგებლისთვის დამატებითი ვალდებულებების/გადასახადების დაკისრების გამოვლენის შემთხვევაში, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია, მიმწოდებელს გამოუქვითოს პირობების დარღვევის გამოვლენისთვის შესრულებული სამუშაოს 20%. ქვეპროგრამაში ახალი დაწესებულების ჩართვისას, ბენეფიციართა ჩარიცხვის კუთხით, უპირატესობა მიენიჭება იმ ბენეფიციარს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განცხადებით აღნიშნულ მიმწოდებელ დაწესებულებას და არ მიუღია მომსახურება (გაეროს მდგრადი განვითარების "SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 02 19)

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები,

არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირები, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში.

ქვეპროგრამით ვერ ისარგებლებენ მოქალაქეები, რომელთა მოთხოვნა უკავშირდება:

- ა) სამედიცინო დაწესებულების წინაშე დავალიანების დაფარვას;
- ბ) ბარიატრიული ქირურგიის დაფინანსებას;
- გ) საზღვარგარეთ სამედიცინო ან/და მედიკამენტოზურ მკურნალობას;
- დ) ხანძრისგან მიყენებული ზიანის გამო მატერიალურ დახმარებას.

ასევე, განხილვას არ ექვემდებარება შემთხვევა, როდესაც განმცხადებელი/ოჯახი 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში აღარ ცხოვრობს ქ. ქუთაისში. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ შესაბამის დახმარებას გონივრულ, შესაძლო მოკლე ვადაში.

დახმარების მისაღებად მოქალაქე განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას/მერის ბრძანებით შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, კერძოდ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან; განმცხადებლისა და ოჯახის წევრთა წერილობითი თანხმობები პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, მათ შორის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვაზე, ასევე ყველა საჭირო დოკუმენტს მოთხოვნისამებრ. ფინანსურ დახმარებაზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბენეფიტის მოცულობა განსაზღვრულია არაუმეტეს 1500 /ათას ხუთასი/ ლარის ფარგლებში. განცხადება სამედიცინო ან/და მედიკამენტებით დახმარების თაობაზე, განმეორებით არ განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს/ოჯახს, ამ კონკრეტულ მოთხოვნაზე

შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში უკვე მიღებული აქვს დახმარება. ასევე, დაფინანსებას არ დაექვემდებარება შემთხვევები, როცა მოქალაქე თავად ირჩევს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც არ თანამშრომლობს საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამასთან ან/და თავისივე ნებით უარს აცხადებს საყოველთაო სახელმწიფო პროგრამის პირობებით მომსახურების მიღებაზე. ფინანსური ან/და მატერიალური სარგებელი განმცხადებელს/ოჯახს გაეწევა საბიუჯეტო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური გაცილებისა და ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 20). ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების შეძენა და მხედველობის უნარის სრულიად არმქონე ან მცირემხედველი ბენეფიციართათვის, პერსონალური გაცილება. ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ყოველდღიურ აქტივობებში ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ სამედიცინო, სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებებში ან/და სხვა სივრცეში, დამოუკიდებელი და უსაფრთხო გადაადგილებისთვის, საქართველოს უსინათლოთა კავშირთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ანაზღაურდება პერსონალური გამცილებლის /შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარით/ და ოპერატორის მომსახურების თანხა /შრომის ანაზღაურება 150 (ას ორმოცდაათი) ლარი/ თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს თანხის ასანაზღაურებლად, მომსახურე ორგანიზაციის მხრიდან აუცილებელია წერილობითი მომართვის წარმოდგენა თანდართულ დოკუმენტაციასთან (მიღება-ჩაბარების აქტი, საბანკო რეკვიზიტები და სახელობითი სია ბენეფიციართა ხელმოწერით დადასტურებული) ერთად. ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თვეში არანაკლებ 35 მომსახურება.

ბ.ც) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება. (პროგრამული კოდი 06 02 30) ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით. ქვეპროგრამის ამოცანაა ამავე ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტებია: ა) მომართვის თარიღი; ბ) ფუნქციური შეფასების ქულა; გ) ოჯახის სოციალური სარეინტგო ქულა; დ) მკვეთრად გამოხატული შშმ პირი; ე) მარტო მცხოვრები შშმ პირი; ვ) მარტოხელა პენსიონერი (პირი, რომელსაც არ ჰყავს შვილები და/ან მარჩენალი); ზ) მრავალშვილიანი ან/და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი; თ) დასაქმებული შშმ პირი; ი) ოჯახი, რომლის ორი ან მეტი წევრი არის შშმ პირი და ერთ-ერთი საჭიროებს ასისტირებას. კ) სტუდენტი. ქვეპროგრამაში ვერ ჩაერთვება: ა) პირი, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში დიდ ინსტიტუციაში, 24-საათიან სათემო და/ან მცირე საოჯახო მომსახურებაში; ბ) არის ამ ქვეპროგრამის ღონისძიებების მსგავსი შინმოვლის ან პერსონალური ასისტენტის სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის/მომსახურების მოსარგებლე. პროგრამაში ჩართვის პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაცია: მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/სოციალურ საკითხთა სამსახურს შემდეგი დოკუმენტაციით: ა) შევსებული განაცხადის ფორმა; ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი; დ) შშმ

პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; ე) პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტები. თუ დოკუმენტების ნუსხა სრულყოფილია და განმცხადებელი აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, განმცხადებელს ეცნობება იმის შესახებ, რომ შეფასების პროცედურის გასაგებლად 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიმართოს სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელ უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის საფუძველზე განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას, კერძოდ: ა) რეგულარული - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას, სატრენინგო კურსის გავლას; ბ) სპეციალიზებული - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას - სატრენინგო კურსის გავლას. მომსახურების მაძიებლის შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას/დასკვნას, რომელიც 15 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილ უნდა იქნეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში/სოციალურ საკითხთა სამსახურში, პროგრამაში ჩართვის საკითხის განხილვის მიზნით. პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებას და დადგენილი სტანდარტების დაცვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადებების განხილვას და პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება მერიის მიერ დამტკიცებული დებულებით. სამუშაო ჯგუფი 2 კვირის ვადაში განიხილავს მომსახურების მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პირისთვის პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამაში ჩართვის ან უარის თქმის შესახებ. წარმოდგენილი შეფასების ფორმის/დასკვნისა და პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზნობრივი ტრანსფერის სახით პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ჩართვის ან ჩართვაზე უარის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება მომსახურების მაძიებელს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმცხადებელს დამატებით ეგზავნება მუნიციპალიტეტში სამინისტროს მიერ მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების ნუსხა და

საკონტაქტო ინფორმაცია. თუ მომსახურების მაძიებელი აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან გამომდინარე (ფინანსური რესურსის ნაკლებობა) ვერ ხერხდება მისი პროგრამაში ჩართვა, სურვილის შემთხვევაში, პირი შეყვანილი იქნება მომსახურების მიღების მსურველთა სიაში. მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში შესაბამისი რესურსის აღმოჩენის შემთხვევაში (სხვადასხვა მიზეზით ბენეფიციარის პროგრამიდან გასვლა, ტრანსფერის მოცულობის გაზრდა და ა.შ.), ამ სიაში შეყვანილ პირთა დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის მიერ. შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მომსახურების მაძიებელი მიმართავს მუნიციპალიტეტში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულ მისთვის სასურველ ორგანიზაციას, პერსონალური ასისტენტის შერჩევას, ასისტირების მოცულობისა და პირობების შეთანხმების მიზნით. მომსახურების მიღების მსურველის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის გაკეთებული მიმართვის საფუძველზე, მიმწოდებელი ორგანიზაცია არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ახორციელებს მომსახურების მიღების მსურველი პირის საჭიროებების შეფასებას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შემდეგს: 1. ცხოვრების სტილის, გარემოსა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის, სასურველი აქტივობების განხორციელებისა და მათთან დაკავშირებული საჭიროებების, ასისტირებისთვის საჭირო საათების ოდენობისა და მომსახურების სახეების განსაზღვრას ვაუჭერით დადგენილი თანხის ფარგლებში და უზრუნველყოფს მომსახურების მიმღები პირის მიერ პერსონალური ასისტენტის/ასისტენტების შერჩევას, მისი სურვილის, შესაძლებლობების, საჭიროებების (მაგალითად: ასაკი, სქესი, პიროვნული თვისებები, კულტურული თავისებურებები, ინტერესები, საკომუნიკაციო ენა, ჩვევები და ა.შ.) და ასისტენტის კომპეტენციების გათვალისწინებით. 2. მიმწოდებელი ორგანიზაცია მომსახურების მიმღებ პირთან შეთანხმებით თანამშრომლობს მასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სფეროს სპეციალისტებთან და უზრუნველყოფს არსებული ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიზნების შესაბამისად მომსახურების მიმღები პირისთვის დანიშნული პროცედურების/დავალებების შესრულებაში, უნარების განვითარებაში დახმარებას. პერსონალური ასისტენტის შერჩევას შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებ პირს შორის ფორმდება პერსონალური ასისტირების მომსახურების თაობაზე სამმხრივი ხელშეკრულება (მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, მომსახურების მიმღები და პერსონალური ასისტენტი), რომელიც მოიცავს პერსონალური ასისტენტის მიერ

გასაწევი საქმიანობების/მომსახურების სფეროებს, ვალდებულებებს, ვადებს, მომსახურების განრიგს, კონფიდენციალურობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს, ურთიერთობის წესებსა და მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ ასპექტებს. მხარეებს შორის გასაფორმებელი სამმხრივი ხელშეკრულების პროექტი მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან და შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წარედგინება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. პროგრამით გათვალისწინებული ვადების არასაკაპტო მიზეზით დარღვევა ან მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, მომსახურების მიმღებსა და პერსონალურ ასისტენტს შორის შეთანხმების მიუღწევლობა წარმოადგენს პროგრამაში მაძიებლის ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს. მომსახურების შეჩერების საფუძველებია: ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება; ბ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეჩერება, შეჩერების ვადით ან არაუმეტეს პროგრამის მოქმედების ვადისა; გ) გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას; მომსახურების შეწყვეტის საფუძველებია: ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება; ბ) მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა; გ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეწყვეტა; დ) მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას; ე) მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა; ვ) მოსარგებლის ჩართვა სხვა მსგავს პროგრამაში; ზ) გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს; თ) მოსარგებლის გარდაცვალება. პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიმღები პირის შეფასებას, პერსონალური ასისტენტის ხელფასს, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ადმინისტრირების და საზედამხედველო ხარჯებს. მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით პერსონალური ასისტენტის მომსახურება დაფინანსდება: ა) რეგულარული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 60 საათი; ბ) სპეციალიზებული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 120 საათი. რეგულარული ასისტირებისთვის დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) არის საათში 12 ლარი, ხოლო სპეციალიზებული ასისტირებისთვის – საათში 13 ლარი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის

შესაბამისად. გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახური: ა) პერიოდულად ახორციელებს მიწოდებული მომსახურების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის, პერსონალის მიმართ დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას; ბ) მომსახურების არასათანადოდ განხორციელების თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს კონკრეტული ფაქტის შესწავლას; გ) მონიტორინგის შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს მიმწოდებლისთვის და ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების კონტროლს; დ) პერიოდული მონიტორინგის და კონკრეტული ინფორმაციის მიღების შედეგად განხორციელებული მონიტორინგის, ასევე გაცემული რეკომენდაციების გონივრულ ვადაში შესრულების შემოწმების საფუძველზე, უფლებამოსილია დასვას მიმწოდებლისთვის რეგისტრაციის შეწყვეტის საკითხი. პროგრამის მოქმედება იწყება 2026 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (გაეროს მდგრადი განვითარების "SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

აღნიშნულ ცვლილებებს კომისიის ყველა დამსწრე წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მანანა ჩიხლაძე

